სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N0611/761

ქ. თელავი 5 ივნისი 2012 წ.

ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი (მისამართი: ქ. თელავი, ერეკლე II გამზირი №16) შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, მისი გამგებლის პეტრე კიკნაძის სახით და მეორეს მხრივ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვასილ ხორავას სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯოლოჯოლაში გაზსადენი ქსელის მოწყობის სამუშაოების შესრულება. (ხარჯთაღრიცხვის და პროექტის შესაბამისად).

2.2 საფუძველი: საქართველოს მთავრობის 31.01.2012წ. N162 განკარგულება.

2.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: 7610000 - პროფესიონალური მომსახურებები გაზის მრეწველობისთვის.

2.4 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.5 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 27226 (ოცდაშვიდიათას ორასოცდაექვსი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სამუშაოს მიწოდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში განსაზღვრული სამუშაოს მოცულობების და პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

გ) გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც სამუშაოს მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზნით ინსპექტირებას განახორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი. .

5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი. წუნის აღმოჩენისას შესყიდვის მიმწოდებელი ვალდებულია 20 (ოცი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული სამუშაოს ღირებულება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც ეტაპობრივი ასევე საერთო ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%-იანი საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის

გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2 მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადა 2012 წლის 1 დეკემბრამდე.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სამუშაოს მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

13. სხვა პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
თელავის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N16
სს ლიბერთი ბანკი
ანგ. №GE31 LB01 2019 8781 1260 00
ბანკის კოდი: LBRTGE22
სკ - 231280093
ტელ: 0350272300

გამგებელი
პეტრე კიკნაძე

------------------------ ბ.ა.

მიმწოდებელი:
სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია''
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N74ბ
ტელეფონი: 2 915 315
ბანკი: სს თიბისი ბანკი
ანგ. N GE48TB1100000018467453
კოდი: TBCBGE22
ს.კ. 202161098

გენერალური დირექტორი
ვასილ ხორავა

------------------------ ბ.ა.